



ღრმა და ყოვლისმომცველი
თავისუფალი სავაჭრო
სივრცის შესახებ შეთანხმება —
რისკები და შესაძლებლობები
საქართველოსთვის



ღრმა და ყოვლისმომცველი
თავისუფალი სავაჭრო
სივრცის შესახებ შეთანხმება —
რისკები და შესაძლებლობები
საქართველოსთვის

სარჩევი

5

შესავალი

7

AA/DCFTA-ის დებულებები, რომლებიც ეხება თავისუფალ სავაჭრო სივრცეს, და რას ნიშნავს ისინი ევროკავშირში საქართველოს ექსპორტირების პოტენციალისთვის

9

რა უნდა გააკეთოს საქართველომ DCFTA-ის ფარგლებში ჰარმონიზაციის ზომების განსახორციელებლად?

12

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების უპირატესობა: შიდა მწარმოებლების წახალისება

17

DCFTA-ის მიერ მოტანილი უპირატესობით სარგებლობა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისება

21

დანართი

პოლიტიკის დაკუმენტი მომზადდა ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პროექტის „ცნობიერების ამაღლება და მხარდაჭერის გაზრდა ევროინტეგრაციის საკითხებზე საქართველოში: საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების საინფორმაციო კამპანია“ ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია რუმინეთის მთავრობის მიერ. პროექტი განხორციელდა რუმინეთის ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრთან თანამშრომლობით 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის ივნისის ჩათვლით. საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს რუმინეთის მთავრობის, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ან რუმინეთის ევროპული კვლევის ცენტრის პოზიციას.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პროექტის „ცნობიერების ამაღლება და მხარდაჭერის გაზრდა ევროინტეგრაციის საკითხებზე საქართველოში“ ფარგლებში, რუმინეთის მთავრობის მხარდაჭერით. დოკუმენტი წარმოადგენს ISET-ის პოლიტიკის ინსტიტუტის, „პრაისვოტერჰაუს კუპერსის“ (PWC) და პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით ჩატარებული ერთობლივი კვლევის დასკვნების შეჯამებას. კვლევის ერთ-ერთი კომპონენტი გულისხმობდა შესაბამისი დაინტერესებული პირების, მათ შორის მსხვილი ბიზნესებისა და ბიზნეს-ასოციაციების, სამთავრობო სააგენტოების, კომერციული ბანკების, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების, გამოკითხვას. დოკუმენტში, ასევე, წარმოდგენილია გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფთან ერთად ჩატარებული კვლევის მთავარი დასკვნები. აღნიშნული კვლევა ეხებოდა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებისთვის არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების და პოტენციური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი სექტორების შესწავლას. ორივე კვლევა ჩატარდა 2016 წლის თებერვალ-აპრილში.

როგორც ასოციირების შესახებ შეთანხმება (AA), ისე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ინსტრუმენტი, რომლის ოფიციალური მიზანია „ევროპის საზღვრებთან კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების“¹ სარტყლის შექმნა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ვრცელდება ევროპის სამხრეთით (მაგ.: ჩრდილოეთი აფრიკა) და აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობაზე.

ასოციირების შესახებ შეთანხმებას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას საქართველომ და ევროკავშირმა ხელი 2014 წლის 27 ივნისს მოაწერეს. საქართველომ ასოციირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება 2014 წლის 18 ივლისს მოახდინა, AA/DCFTA-ის წინასწარი ამოქმედება კი 2014 წლის 1 სექტემბრიდან მოხდა.

1 <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=URISERV%3Ar17100>.

DCFTA ანალიტიკური თვალსაზრისით შეიძლება ორ ძირითად კომპონენტად დაიყოს. „თავისუფალი სავაჭრო სივრცის“ (FTA) ნაწილი ეხება საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის პროდუქტებითა და მომსახურებებით თავისუფალ ვაჭრობას. ოფიციალური განმარტების თანახმად, DCFTA „აუქმებს პროდუქტების იმპორტის ტარიფებს და უზრუნველყოფს ფართო ორმხრივ წვდომას სერვისებით ვაჭრობაზე“². გარდა ამისა, დებულება „დაფუძნების“ შესახებ საშუალებას აძლევს ქართულ და ევროპულ კომპანიებს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გახსნან ფილიალები და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში. შეთანხმების „ღრმა და ყოვლისმომცველი“ ნაწილი (DC) ეხება კანონმდებლობის, ნორმებისა და რეგულაციების ძირეულ ჰარმონიზაციას, რომლის შედეგად ქართული ეკონომიკის ძირითადი სექტორები შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის სტანდარტებთან. „ღრმა და ყოვლისმომცველი“ კომპონენტი მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, ევროკავშირის ბაზრის გახსნას მის ფარგლებს გარეთ წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურებებისთვის (შესაბამისად, ევროპულ კომპანიებს უჩინდებათ ახალი კონკურენტები), მეორე მხრივ კი ევროპული კომპანიებისთვის გზის გახსნას ახალ ბაზრებზე შესასვლელად. „ჰარმონიზაციის“ უმთავრესი ტვირთი დაანგება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის გადამამუშავების სექტორებს, რომელთაც მოუწევთ, დააკმაყოფილონ ევროკავშირის სურსათის უსაფრთხოების რეგულაციები. იგივე რეგულაციები ამოქმედდება საქართველოში იმპორტირებულ ნებისმიერ საკვებ პროდუქტზე, რაც საშუალებას მისცემს ევროპულ კომპანიებს, კონკურენცია გაუწიონ იმ მწარმოებლებს, რომლებზეც მსგავსი რეგულაციები არ მოქმედებს, მაგალითად, ირანში, რუსეთში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში მომუშავე მწარმოებლებს.

აღნიშნული კვლევითი დოკუმენტის მეორე ნაწილში ჩვენ განვიხილავთ: 1) შეთანხმების „ღრმა და ყოვლისმომცველი“ (DC) და „თავისუფალი სავაჭრო სივრცის“ (FTA) კომპონენტების მთავარ შედეგებს ქართველი მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის და 2) პოლიტიკას, რომელიც საქართველომ უნდა გაატაროს, რათა, ერთი მხრივ, შეამციროს ჰარმონიზაციის დებულებების ხარჯები და, მეორე მხრივ, ისარგებლოს „მსოფლიოს ყველაზე მსხვილ ბაზართან თავისუფალი ვაჭრობის გამჭვირვალე წესებისა და რეგულაციების უპირატესობებით“³.

2 <http://ec.europa.eu/trade/policy/countries-and-regions/countries/georgia/>

3 <http://ec.europa.eu/trade/policy/eu-position-in-world-trade/>

AA/DCFTA-ის დებულებები, რომლებიც ეხება თავისუფალ სავაჭრო სივრცეს, და რას ნიშნავს ისინი ევროკავშირში საქართველოს ექსპორტირების პოტენციალისთვის

2005 წლის დეკემბრიდან, ე.წ. „პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის“ (Generalized System of Preferences +, GSP+) ფარგლებში, საქართველო სარგებლობს ევროპასთან ვაჭრობის დაბალი სატარიფო ბარიერებით. GSP+ „განვითარებად ქვეყნებს აძლევს მოტივაციას ... დანერგონ ადამიანისა და შრომის უფლებების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და კარგი მმართველობის ძირითადი საერთაშორისო კონვენციები“⁴. შედეგად, 2006 წლიდან საქართველოსთვის მოქმედებდა ნულოვანი ტარიფები სატარიფო ხაზების თითქმის 75%-ზე. DCFTA აფართოებს GSP+-ს და ნულოვან ტარიფს აწესებს საკვების კატეგორიების 100%-ზე, მათ შორის იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, რომლებიც შეიძლება ქართველი ექსპორტიორებისთვის საინტერესო იყოს. ასეთებია: ღვინო, ყველი, ცოცხალი საქონელი, ცხვრისა და თხის ხორცი, მანონი, შოკოლადი, საქონლის ტყავი და ბენვი (რომელსაც არ ფარავდა GSP+-ის შეღავათები), კენკროვნები, ხილი, ბოსტნეული (მათ შორის დაკონსერვებული და გადამუშავებული) და ხილის ნვენები (რომლებზეც მოქმედებდა GPS+-ის ნაწილობრივი შეღავათები). საქართველო 2016 წლის 31 დეკემბრამდე იქნება GSP+-ის ბენეფიციარი, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის აპრილისთვის ევროკავშირის 28 წევრმა სახელმწიფომ უკვე მოახდინა ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ის კომპონენტების, რატიფიცირება⁵.

მართალია, ერთი შეხედვით, DCFTA-ის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ დებულებები GSP+-თან შედარებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა,

4 <http://trade.ec.europa.eu/doclib/press/index.cfm?id=1006>

5 http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/2016/20160426_01_en.pdf

მაგრამ რამდენად შეძლებს საქართველო ამ დებულებებით სარგებლობას, დამოკიდებული იქნება ქართული პროდუქტების მიერ ევროპაში ბაზრის წილის მოპოვებაზე (რამდენად ენდომებათ ქართველ მწარმოებლებს ინვესტიციების ჩადება ევროპაზე ორიენტირებულ მარკეტინგისა და ბრენდინგის აქტივობებში).

დანართში წარმოდგენილი ექსპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი სტატისტიკიდან არ ჩანს, რომ DCFTA-ის წინასწარი ამოქმედებიდან ერთი წლის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი გარღვევა მომხდარიყოს. ეს არ არის მოულოდნელი, რადგან ევროკავშირის ბაზრისთვის ვარგისი ქართული პროდუქტების უმეტესობას ისედაც ფარავდა GSP+. ისეთი ნიშური (ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო) პროდუქტების მოცულობის გაზრდისთვის, როგორცაა ღვინო, ხილი, კენკროვნები, საჭიროა დრო (მაგალითად, თხილისა და ვაშლის კომერციული წარმოებისთვის 5-6 წელია საჭირო). და მაინც, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობა ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. 2015 წელს საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში აბსოლუტური მნიშვნელობით 4%-ით გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი სავაჭრო ბრუნვა შემცირდა (2015 წელს საქართველოს ექსპორტი 22%-ით შემცირდა). ამის ფონზე ქართული ექსპორტი კონცენტრირებულია პროდუქტების შეზღუდულ კატეგორიებზე: მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 80% მოდის, ერთი მხრივ, მინერალებსა და ლითონებზე და, მეორე მხრივ, საკვებ პროდუქტებზე (ბოსტნეული, ღვინო და სხვა სასმელები).

საქართველოს შეუძლია ევროკავშირში ექსპორტის ნახალისებისთვის გამოიყენოს ორი გზა: 1) ინვესტიცია ჩადოს არსებულ სექტორებში ან განავითაროს ახალი, ნიშური პროდუქტები, რომელთაც აქვთ საბაზრო პოტენციალი ევროკავშირში. ამის მაგალითია კენკროვნები, კივი, ზოგიერთი ალკოჰოლური სასმელი (ქვევრის ღვინო ან ჭაჭა), ზეთისხილი და სხვ.; 2) გამოიყენოს როგორც DCFTA-ის სტატუსი, ისე კორუფციისგან თავისუფალი, უსაფრთხო და ეფექტიანი ბიზნეს-გარემო ექსპორტზე ორიენტირებულ მრეწველობებში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. საქართველო ევროკავშირთან საექსპორტო პლატფორმად შეიძლება გამოიყენონ იმ ქვეყნებმა, რომელთაც არ აქვთ თავისუფალი წვდომა ევროპულ ბაზრებზე, მაგალითად, ჩინეთმა, ირანმა, აზერბაიჯანმა, რუსეთმა.

რა უნდა გააკეთოს საქართველომ DCFTA-ის ფარგლებში ჰარმონიზაციის ზომების განსახორციელებლად?

D CFTA-ის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით 2014 წლის 28 ივლისს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიამ დაამტკიცა DCFTA-ის განხორციელების სამოქმედო გეგმა 2014-2017 წლებისათვის⁶, რომელიც შეიმუშავა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია იმ რეფორმების დეტალური ჩამონათვალი, რომლებიც უნდა განხორციელდეს აღნიშნულ პერიოდში, და პასუხისმგებლობათა განაწილება. გეგმა კონცეპტუალური თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ნაწილად. პირველი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ვაჭრობის ხელშეწყობის ზომებზე, როგორც არის საბაჟო პროცედურების გამარტივება, ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციის წარმომავლობის რეგულაციების შესახებ კანონების აღსრულებას, რაც ზოგადად გაზრდის საქართველოს წარმოებისა და ექსპორტის შესაძლებლობას (მაგალითად, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნით და ექსპორტის დივერსიფიცირებით). მეორე ნაწილი ეხება ზომების ფართო სპექტრს, რათა მოხდეს საკანონმდებლო დაახლოება და რეგულაციების ჰარმონიზება: ეს არის ტექნიკური სტანდარტები, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა, შრომის რეგულაციები, კანონი კონკურენციის შესახებ, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ნორმები და სხვ.

ქართულ მხარეს სურს, სწრაფად შეასრულოს DCFTA-ის დღის წესრიგი, მაგრამ მთავრობაში და ეკონომიკის სექტორში ბოლომდე არ ესმით ჰარმონიზაციასთან დაკავშირებული მოთხოვნები (თითოეული ქვესექტორისთვის) და მათი განხორციელების ოპტიმალური განრიგი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებსა და სურსათის გადამამუშავებლებს მოუწევთ ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის ძალიან დიდი დანახარ-

⁶ DCFTA-ის განხორციელების საქართველოს სამოქმედო გეგმა 2014-2017, http://www.economy.gov/uploads/dcfita/DCFTA_Action_Plan_ENG.pdf

ჯების განწევა, რაც დაკავშირებულია სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების გატარებასთან. თუმცა დღემდე არ ჩატარებულა ანალიზი მონიტორინგისა და სხვა სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნების ფაზების შესახდლო გრაფიკის შესახებ. მთავრობას აქამდე არ გაუკეთებია კომენტარი, შეეხება თუ არა ეს მოთხოვნები მცირე და საშუალო სანარმოებს და, თუ შეეხება, როდის. შესაბამისად, მცირე და საშუალო სანარმოები (და არა მხოლოდ) ჩვეულებრივად აგრძელებენ საქმიანობას, ნაცვლად იმისა, რომ დაგეგმონ და ინვესტიციები ჩადონ საჭირო უნარ-ჩვევებსა და სისტემებში.

გასათვალისწინებელია, რომ სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების დანესება ნებისმიერი საკვები პროდუქტებისთვის, რომლებიც იყიდება ქართულ ბაზარზე (მათ შორის იმპორტირებული პროდუქტებისთვის), გარდაუვლად გამოიწვევს ოფიციალური არხებით გაყიდული პროდუქტების ფასების ზრდას. საკვების გაზრდილი ფასები დააზარალებს მომხმარებლებს და პოლიტიკური ზენოლის ქვეშ მოაქცევს მომავალ ქართულ მთავრობებს, რომელთაც შეიძლება ამჯობინონ სურსათის უსაფრთხოების რეგულაციების გამარტივება (მაგალითად, მცირე და საშუალო სანარმოთა გათავისუფლება მოთხოვნების შესრულებისაგან) ან თვალის დახუჭონ სურსათის წარმოებისა და ვაჭრობის სექტორებში არაფორმალურ აქტივობებზე.

საკუთარი რეგულაციების ევროკავშირის ბევრად განვითარებული ქვეყნების რეგულაციებთან ჰარმონიზაციით ქართველი მწარმოებლები ვეღარ შეძლებენ იმპორტის ჩანაცვლებას. იმის გათვალისწინებით, რომ შიდა წარმოების ხარჯები გაიზრდება (მაგალითად, სურსათის სექტორში), ქართული კომპანიებისთვის უფრო რთული იქნება მსხვილი მასშტაბის თანამედროვე მწარმოებლებთან კონკურენცია ევროკავშირისა თუ სხვაგან. მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი სექტორი უფრო დაზარალებება, ვიდრე სხვები (მაგალითად, ხორცის წარმოება და გადამამუშავება): კომპანიებს მოუწევთ რესტრუქტურულიზაციისა და თანამშრომელთა გადამზადების ძვირადღირებული ზომების გატარება.

ჰარმონიზაციის განრიგისა და პრიორიტეტების დადგენა მარტივი არ არის. გასათვალისწინებელია გარკვეული ნეგატიური გვერდითი ეფექტები. მაგალითად, მცირე და საშუალო სანარმოებმა და მცირე მიწის მფლობელებმა შეიძლება ვერ მოახერხონ DCFTA-ის მოთხოვნების (მაგალითად, სანიტარული და ფიტოსანიტარული ან ეკოლოგიური რეგულაციების) სრულად

დაკმაყოფილება. მათი გათავისუფლება ერთი რომელიმე ან ყველა რეგულაციისგან შეიძლება კარგი იყოს სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით, თუმცა მცირე და მსხვილი მწარმოებლებისადმი უთანასწორო დამოკიდებულებამ შეიძლება ეს უკანასკნელები დააზარალოს. მსხვილი, კაპიტალ-ინტენსიური ბიზნესები ბევრ ადამიანს არ ასაქმებს, მაგრამ მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკისთვის, რადგან მათ გააჩნიათ ქართული ექსპორტის გაზრდის ან იმპორტირებული საქონლის ჩანაცვლების პოტენციალი. გასათვალისწინებელია, რომ ჰარმონიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად გაზრდის ახალ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის დანახარჯებს (როგორც მოხდა „ჰიპი-საქართველოს“ შემთხვევაში, რომელიც იძულებული გახდა, დაეხურა თანამედროვე გადამამუშავებელი ქარხანა შიდა ქართლში). ამიტომ ნებისმიერი განრიგის დადგენამდე და კონკრეტული ზომების მიღებამდე მთავრობამ უკეთ უნდა შეისწავლოს სექტორისთვის დამახასიათებელი ნეგატიური გვერდითი ეფექტები.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების უპირატესობა: შიდა მწარმოებლების წახალისება

საქართველოს არ შეუძლია, მოკლე დროში გააფართოოს თავისი ექსპორტი ევროკავშირში. საქართველოს უმსხვილესი ექსპორტიორები, როგორებიც არიან RMG Copper, Georgian American Alloys და რუსთავის „აზოტი“, უკვე საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობენ. მათი წარმოებისა და ექსპორტის ნებისმიერი ზრდისთვის საჭიროა დამატებითი ინვესტიცია. სოფლის მეურნეობის სექტორში, რომელსაც აქვს გაფართოების მნიშვნელოვანი პოტენციალი, დომინირებენ მცირე მწარმოებლები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თვითკმარი ფერმერია. სურსათის მსხვილ გადამამუშავებელთა უმეტესობა, როგორიცაა „ნიკორა“ და „ჩირინა“, აქცენტს აკეთებენ იმპორტის ჩანაცვლებაზე. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ექსპორტი ევროკავშირში მეტწილად გულისხმობს თხილის ექსპორტს (2015 წელს ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 22%). ღვინო 1.70%-ით მეორე ადგილს იკავებს, ხოლო მინერალური წყლები 1.67%-ით – მესამეს. დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ცხრილი №1.

ცხრილი №1: ევროკავშირში ქართული ექსპორტი, 2015 წელი

ევროკავშირში ექსპორტირებული ძირითადი 10 პროდუქტი, 2015 წელი	მთლიანის %
სპილენძი, მადნები და კონცენტრატები	23.87%
თხილი, საკვები, თხილი ან თხილის ხე (corylus spp.), ახალი, ხმელი ან ნაჭუჭიანი	22.92%
ზეთები, ნავთობი და ბიტუმის მინერალებისგან მიღებული ზეთი, დაუმუშავებელი	12.14%
სასუქები, მინერალური ან ქიმიური; აზოტი, ამონიუმის გვარჯილა, წყალხსნარითა თუ მის გარეშე	10.27%
ფეროშენადნობი, ფეროსილიკომანგანუმი	3.25%
ღვინო, უგაზო, ორლიტრიანი ან ნაკლები მოცულობის კონტეინერებში	1.70%
წყლები, მინერალური და გაზიანი, მათ შორის ნატურალური ან ხელოვნური (რომლებიც არ შეიცავს შაქარს ან სხვა დამატებულ საშუალებებსა და არომატებს)	1.67%
ვერტმფრენები, რომელთა დაუტვირთავი წონა აჭარბებს 2000 კგ-ს	1.52%
სატრანსპორტო საშუალებები, შიდაწვის შიგანვიანი დგუშიანი ძრავები (დიზელი ან ნახევრად დიზელი), რომელთა ცილინდრის მოცულობა აჭარბებს 2500 კუბურ სანტიმეტრს	1.51%
რეზინი, ახალი პნევმატური საბურავები, როგორც გამოიყენება ძრავიან ავტომანქანებში (მათ შორის სადგურის, ვაგონისა და რბოლის ავტომანქანებში)	1.37%

წყარო: საქსტატი

ევროკავშირში DCFTA-ით წახალისებული ექსპორტის გასაძლიერი „ლოკომოტივების“ არარსებობის პირობებში საქართველომ, კონკრეტულ ლიდერებზე ორიენტირების ნაცვლად, უნდა განსაზღვროს სამრეწველო სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს ფართო სექტორულ და ეკონომიკურ წინსვლას.

საქართველოს მთავრობას შეუძლია ხელი შეუწყოს ერთობლივი ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების (მათ შორის DCFTA-ის რეგულაციების განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების), წარმოების საშუალებების, უნარ-ჩვევებისა და მეორადი მომსახურებების (Downstream Services) შესახებ დებულებების, პროდუქტების სერტიფიცირებისა და ხარისხის კონტროლის, ექსპორტის ხელშეწყობის, ტრანსპორტირებისა და ლოჯისტიკის, საერთაშორისო ბრენდინგისა და მარკეტინგის შიდა სექტორულ კოორდინაციას. ასეთი კოორდინაცია შეიძლება დაეხმაროს ქართველ მწარ-

მოებლებს, მიაღწიონ წარმოებისა და ექსპორტის დიდ მასშტაბებს, რაც საჭიროა ევროკავშირის ბაზრებზე ქმედითი კონკურენციისთვის, ახალი, ნიშური პროდუქტების განვითარებისა და პოპულარიზებისთვის, არსებული საქმიანობის გაფართოებისთვის. ასეთი კოორდინაცია ეფექტიანი იქნება, თუ სათავეში ჩაუდგებიან ისეთი აღიარებული ლიდერები (უცხოური ინვესტიციებით შექმნილი მსხვილი ბიზნესები) თითოეულ სექტორსა და ქვესექტორში, როგორცაა:

- „აგრიჯორჯია“ („ფერეროს“ ქართული წარმომადგენლობა) ქართული თხილის სექტორში;
- „ჰიპი“ ორგანულ მებაღეობასა და ხილის გადამამუშავებაში;
- „მარნეული აგრო“ ბოსტნეულის წარმოებასა და გადამამუშავებაში.

შიდა სექტორული კოორდინაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ზომების განხილვისას, როგორცაა, მაგალითად, პროფესიული ტრენინგები (რათა შეივსოს უნარ-ჩვევების ზოგადი დეფიციტი), პროდუქტების სტანდარტები, ინფრასტრუქტურული და ლოჯისტიკური დაბრკოლებები, ბრენდინგის/მარკეტინგის ზოგადი პრობლემები. მარკეტინგის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას საქართველოს, როგორც ლენის აკენის, ჯანსაღი და უნიკალური საკვების და/ან საოცარი ტურისტული სანახაობების წყაროს, ერთობლივი რეკლამირებით. ამგვარად საქართველო გაჰყვებოდა ახალი ლენის ქვეყნების (ავსტრალია, ახალი ზელანდია, ჩილე და არგენტინა) ნაკვალევს, რომელთაც გამოიყენეს ამგვარი სტრატეგიები მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ნიშის დასამკვიდრებლად.

უნარ-ჩვევების დეფიციტის შემთხვევაში მთავრობას შეუძლია წამოჭრას წინადადება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის გამოყენებით პროფესიული კოლეჯების შექმნის შესახებ, რომლებიც იქნება ინდუსტრიული ჯგუფების საკუთრება და მათ მიერვე იმართება. ასეთმა კოლეჯებმა შეიძლება იმუშაონ დუალური განათლების გერმანულ/შვეიცარიული მოდელით, როდესაც შესაბამისი კომპანიები ასაქმებენ კოლეჯის სტუდენტებს, რომლებიც ადგილზე, სამუშაოს შესრულებისას იღებენ საჭირო ცოდნას.

სხვა მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, რომელთა გადაჭრაც საჭიროა, არის:

- **ინოვაციის სიმცირე.** საპარტნიორო ფონდი (ან მსგავსი ორგანიზაცია) შეიძლება გამოიყენოთ ახალ პროდუქტებსა და სერვისებზე ექსპერიმენტების გამჭვირვალე სახით წახალისებისთვის (რაც საჭიროა

სათანადო შეფასებისთვის). კომერციული ბანკები მეტისმეტად კონსერვატიულები არიან (და მართებულადაც), რომ შეძლონ ქვეშარიტად ინოვაციური (შესაბამისად, სარისკო) პროექტების მხარდაჭერა.

- **დაფინანსების მაღალი ხარჯები და მასზე წვდომის ნაკლებობა.** ეს დაბრკოლება შეიძლება გადაიჭრას უფრო ზოგადი გზით (ქვეყნის რისკების შემცირებით) ან კონკრეტული პროექტებისთვის სახელმწიფო სესხების გარანტიების, გრანტებისა და საინვესტიციო გადანყვეტილებების კოორდინირების უზრუნველყოფით.
- **ტრანსპორტირების (საზღვაო, სარკინიგზო) ხარჯები და მგზავრობა საქართველოში.** ეს გულისხმობს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტების დაჩქარებას (აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი, რკინიგზის მოდერნიზაცია, საზღვაო პორტების გაფართოება და გაღრმავება და სხვ.) და სპეციალური ზომების მიღებას, რათა მოხდეს ეკონომკლასის ავიაკომპანიების მოზიდვა, გაიზარდოს კონკურენცია ძვირადღირებული სამგზავრო დანიშნულების ადგილებიდან ფრენებზე და/ან დაწესდეს შეღავათები.
- **სუსტი ადგილობრივი მთავრობა.** ჭარბი ფისკალური ცენტრალიზების გათვალისწინებით (თითქმის ყველა საგადასახადო შემოსავალი მიდის ცენტრალურ ბიუჯეტში, საიდანაც თანხის განაწილება ხდება ალქმული და არა რეალური საჭიროების მიხედვით), საქართველოს მუნიციპალურ მთავრობებს არ აქვთ საკმარისი მოტივაცია, ითანამშრომლონ და პოპულარიზება გაუწიონ ბიზნესებს. ფისკალური ფედერალიზმის ელემენტების შემოღებით და ადგილობრივი მთავრობების შესაძლებლობების გაძლიერებით შესაძლებელია ამ დაბრკოლების გადაჭრა.
- **გადასახადების ადმინისტრირების მეტისმეტად მკაცრი სისტემა.** მაქსიმალური დასაშვები ჯარიმების დაკისრების მიზნით ბიზნესებისადმი ნულოვანი ტოლერანტობისა და მოქმედების ნულოვანი თავისუფლების პრაქტიკა, საწარმოების საბანკო ანგარიშების გაყინვა ნებისმიერი გადასახადის გადაუხდელობის (ექვსის) შემთხვევაში აშკარად არ არის მიზანშეწონილი გზა დღევანდელ რეალობაში. გადასახადის ურჩი გადახდელებთან ურთიერთობისას საგადასახადო აუდიტორებისთვის მოქმედების თავისუფლების მიცემამ (და მათი გადანყვეტილების განსახილველად სასამართლოსთვის გადაცემამ) შეიძლება უმნიშვნე-

ლოდ გაზარდოს კორუფციის რისკები და შეამციროს გადასახადების შეგროვება (მოკლევადიან პერიოდში), თუმცა ამგვარი პრაქტიკის შედეგად მიღებული სარგებელი (გაუმჯობესებული ბიზნეს-გარემო, ინვესტიციები, ბიზნეს-საქმიანობა და საგადასახადო შემოსავლები) ამკარად გადაწონის ნებისმიერ ასეთ რისკს.

- **ელექტროენერჯის ღირებულება და მისი მისაწვდომობა.** ალბათ მთავრობამ კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს საქართველოს ენერჯოსტრატეგიას, რომლის ფარგლებში საქართველოს ჭარბი ჰიდროელექტროენერჯის გადის ექსპორტზე თურქეთში. შიდა დამატებითი ღირებულების საქმიანობისთვის, მათ შორის ადგილობრივად ხელმისაწვდომი ნედლეულის გადამუშავებისა და მრეწველობისთვის ელექტროენერჯის მიწოდების გაზრდით საქართველომ შეიძლება ბევრად მეტი მოიგოს. ამ ალტერნატიულ სტრატეგიაზე გადასვლამ შეიძლება უფრო დიდი როლი დააკისროს მთავრობას მსხვილი ჰესების მშენებლობისა და ექსპლუატაციის საქმეში.
- **პროფესიული უნარ-ჩვევების დეფიციტი.** ამ დაბრკოლების გადაჭრის რამდენიმე გზა არსებობს: საქართველომ უნდა გააგრძელოს „ღია საზღვრების“ პოლიტიკა, რათა ხელი შეუწყოს პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე მოსამსახურეების ქვეყანაში შემოსვლას და ამგვარად დააბალანსოს ქვეყნის შრომის ბაზარზე არსებული პროფესიული უნარ-ჩვევების დეფიციტი. მთავრობამ, ასევე, საშუალება უნდა მისცეს და მეტიც, წახალისოს საწარმოები, შექმნან გერმანული სტილის დუალური განათლების პროგრამები ან სულაც დააარსონ პროფესიული კოლეჯები.
- **შიდა ინვესტორების დაცვა.** საქართველო ამჟამად ვაჭრობის სრული ლიბერალიზებით. მართლაც, ასეთი გადაწვეტილება სრულიად გონივრულია პატარა ქვეყნისთვის, რომელსაც უწევს, დააკმაყოფილოს საკუთარი საჭიროებები და გამოიყენოს გარე ბაზრები. ამავ დროს, საქართველოს მთავრობამ უნდა აჩვენოს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებების შესაბამისად, სურს, დაიცვას 1) ანტიდემპინგური, 2) ანტისუბსიდიური და 3) უსაფრთხოების ზომები. საქართველოს ფოლადის მრეწველობა ამჟამად გაკოტრების ზღვარზეა რუსეთსა და უკრაინასთან ვაჭრობის პირობებში მომხდარი მოულოდნელი ცვლილებების გამო. სავარაუდოდ, ინვესტორები მოინდომებენ საქართველოში რესურსების ჩადებას, თუ, საჭიროების შემთხვევაში, მათ ექნებათ წვდომა დროებითი დაცვის ზომებზე.

DCFTA-ის მიერ მოტანილი უპირატესობით სარგებლობა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისება

საქართველოსთვის ევროკავშირის ბაზრების მისაწვდომობა, რომელიც განთავისუფლებულია საბაჟო მოსაკრებლებისგან, კარგი საშუალებაა ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი საქონლის წარმოებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის. საქართველო შეიძლება მიმზიდველი იყოს ევროპელი ინვესტორებისთვის შრომისა და ელექტროენერჯის დაბალი ღირებულების, ევროპულ და აზიურ ბაზრებთან სიახლოვის გამო. არაევროპელი ინვესტორებისთვის საქართველომ შეიძლება შეასრულოს საბაჟო მოსაკრებლებისგან განთავისუფლებული „საექსპორტო პლატფორმის“ როლი ევროკავშირზე ორიენტირებული პროდუქტებისა და სერვისებისთვის.


არაევროპელი ინვესტორების გადაწყვეტილებები დამოკიდებული იქნება საქართველოს ბიზნეს-გარემოს მიმზიდველობაზე, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა გეოგრაფიული მდებარეობა, სატრანსპორტო ხარჯები, წარმოების საშუალებათა ხარჯები, საჭირო ნედლეულისა და სამუშაო ძალის არსებობა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს გადაწყვეტილებები ასევე დამოკიდებული იქნება ევროკავშირში ექსპორტისა და ინვესტორის მშობლიური ქვეყნის ტარიფებს შორის არსებულ განსხვავებაზეც, რაც მეტი იქნება ეს განსხვავება, მით მეტად მიმზიდველი იქნება საქართველო როგორც საექსპორტო პლატფორმა.

საექსპორტო პლატფორმის ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს მთლიანი წარმოების ჯაჭვის ან მისი ზოგიერთი ელემენტის შექმნით (არ არის საჭირო, რომ ეს მაინცდამაინც წარმოების ბოლო ეტაპი იყოს). ინვესტიციის ტიპი (სექტორი, წარმოების ფაზა) დამოკიდებული იქნება „წარმომავლობის შესახებ რეგულაციებზე“, რომლებიც გამოიყენება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (ანუ საქართველოს, ევროკავშირის და/ან სხვა უფლებამოსილი ქვეყნის წილზე პროდუქტის საბოლოო ღირებულებაში), საქართველოს შედარებით უპირატესობაზე წარმოების საშუალებებში (შრომა, მიწა, წყალი, ენერჯია, ბუნებრივი რესურსები) და, რა თქმა უნდა, ინვესტორების ნოუჰაუზე.

ევროკავშირის იმ არანევრი ქვეყნების დასადგენად, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ამგვარი ინვესტიციის წყაროს, ჩვენ გავაანალიზეთ სატარიფო განსხვავებები და წარმომავლობის შესახებ რეგულაციები. განმარტების თანახმად, სატარიფო განსხვავება არის საქართველოს მიერ DCFTA-ის ფარგლებში მიღებული ტარიფებისა და უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმის⁷ (Most Favored Nation – MFN) ფარგლებში ევროკავშირში ექსპორტზე დაწესებულ ტარიფებს შორის სხვაობა. ტარიფების ნომენკლატურის ე.წ. ჰარმონიზებულ სისტემაში (HS) შედის 10-ციფრიან დონეზე განერილი დაახლოებით 15,000 ტარიფი. ამ ანალიზში ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ პროდუქტების ბევრად უფრო ფართო კატეგორიებზე (HS 1 ციფრი და 4 ციფრი), ვიყენებთ რა მაქსიმალურ და საშუალო სატარიფო დონეებს თითოეული კატეგორიის ფარგლებში⁸.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი №1 აჯამებს მაქსიმალურ და საშუალო სატარიფო დონეებს 17 შესაბამისი კატეგორიის ფარგლებში.

გრაფიკი №1. სატარიფო განსხვავებები



წყარო: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციური ევროკავშირის არანევრი ქვეყნებიდან: ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA-ის როლი.

7 უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არის ევროკავშირის მიერ დაწესებული უმაღლესი სატარიფო დონე როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, ისე არანევრი ქვეყნებისთვის.

8 ანალიზიდან ამოღებულია: 1) პროდუქტები, რომლებზეც მოქმედებს სატარიფო განაკვეთის კვოტა და შესვლის საფასური, 2) პროდუქტები, რომელთაც აქვთ 5%-ზე ნაკლები სატარიფო სხვაობა. ჩვენ ჩავრთეთ ცხოველური პროდუქტებიც, თუნდაც მათი ექსპორტი უახლოეს მომავალში არ იყოს შესაძლებელი სურსათის უსაფრთხოების გამო.

ევროკავშირის ბაზარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის მკაცრად არის დაცული, მაგრამ მნიშვნელოვანი ტარიფები მოქმედებს სამრეწველო საქონელზეც. შეიძლება დავასახელოთ ორი ძირითადი ჯგუფი, რომელთაც აქვთ ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი:

- სოფლის მეურნეობა და სურსათი, განსაკუთრებით ცხოველური პროდუქტები, მომზადებული საკვები. ამ პროდუქტებზე მოქმედებს ყველაზე მაღალი ტარიფები;
- ინდუსტრიული პროდუქტები, განსაკუთრებით ქსოვილები, ფეხსაცმელი, ქიმიური პროდუქტები, ასევე გარკვეული საინჟინრო პროდუქტები: საშუალოდ უფრო დაბალი ტარიფები, მაგრამ გარკვეული რაოდენობის მაღალი მაქსიმალური ტარიფები.

ამ ანალიზის შემდეგი ნაბიჯია იმ პოტენციური ინვესტორი ქვეყნების იდენტიფიცირება, რომელთაც აქვთ შეზღუდული წვდომა ევროპულ ბაზრებზე, მაგრამ უკვე ეწევიან ზემოსხენებული პროდუქტების ექსპორტს. ამჟამად ევროკავშირს აქვს თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება 50-ზე მეტ ქვეყანასთან და კიდევ მეტი მოლაპარაკების პროცესშია. ამავე დროს, ევროკავშირმა წარმოადგინა განახლებული GSP, რომელმაც სავაჭრო პრეფერენციები გაუუქმა 20-ზე მეტ მაღალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყანას. ზოგადად, ამჟამად 33 ქვეყანა ვაჭრობს ევროკავშირთან უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ტარიფებით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წყარო ქვეყნების იდენტიფიცირებისთვის ჩვენ გამოვიყენეთ შემდეგი კრიტერიუმები: შედარებითი გეოგრაფიული სიახლოვე საქართველოსთან, ეკონომიკური განვითარების საკმარისი დონე, შეღავათების სატარიფო რეჟიმი და საქართველოსთან ეკონომიკური კავშირების არსებული მდგომარეობა. აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, საქსპორტო პლატფორმის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოტენციური წყარო ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ჩინეთი, ირანი, ყაზახეთი, ქუვეითი, რუსეთი, საუდის არაბეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები.

ინვესტიციების მოზიდვისას საქართველოს მოუწევს მეტოქეობა 50-ზე მეტ ქვეყანასთან, რომელთაც ევროკავშირის ბაზრებზე ანალოგიური წვდომა აქვთ. ეს კონკურენცია დაკავშირებული იქნება შიდა ხარჯებსა და პირობებთან, რაც ნიშნავს, რომ საქართველომ აუცილებლად უნდა გააგრძელოს

ინვესტიციების ჩადება მეგობრულ ბიზნეს-გარემოში: უნდა მოხდეს სავაჭრო ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის გაუმჯობესება, რათა ქართული პროდუქტი სწრაფად და უსაფრთხოდ შევიდეს ევროკავშირის ბაზრებზე. პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების ხარისხის გაზრდა დამატებითი იმპულსია უაღრესად საჭირო უცხოური ინვესტიციებისთვის.

დანართი

ცხრილი №1. სავაჭრო ნაკადები ევროკავშირში HS სექციის მიხედვით, 2015 წელი

სავაჭრო ნაკადები ევროკავშირში HS სექციის მიხედვით, 2015 წელი	მოლიანი ვაჭრობის წილი 2015 წელს	ზრდის %
I ცოცხალი საქონელი, საქონლის პროდუქტები	0.02%	182%
II ბოსტნეული პროდუქტები	24.55%	4%
III ცხოველური თუ ბოსტნეული ცხიმები და ზეთები	0.09%	29%
IV საკვები, სასმელი, თამბაქო	10.43%	-23%
V მინერალური პროდუქტები	34.80%	9%
VI ქიმიური ან მომიჯნავე მრეწველობის პროდუქტები	7.87%	61%
VII პლასტმასი, რეზინი და მათი ნაწარმი	2.01%	-9%
VIII დაუმუშავებელი ტყავი, ტყავი და სმაგასი	0.73%	-29%
IX ხე-ტყე, ნახშირი, კოროზი და მათი ნაწარმი	0.75%	-9%
X ხის მერქანი, ქაღალდი და მუყაო	0.13%	-80%
XI ქსოვილები და ქსოვილების ნაწარმი	2.59%	-6%
XII ფეხსაცმელი, ქუდები და სხვა თავსაბურავი	0.24%	-96%
XIII ქვის, შუშისა და კერამიკის ნაწარმი	0.07%	547%
XIV მარგალიტი, ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი	1.60%	-7%
XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	5.46%	-10%
XVI მანქანები და მოწყობილობები	1.79%	11%
XVII სატრანსპორტო აღჭურვილობა	6.06%	-35%
XVIII ოპტიკური და ფოტოგრაფიული ხელსაწყოები და სხვ.	0.53%	97%
XIX იარაღი და საბრძოლო მასალა	0.00%	-100%
XX სხვადასხვა წარმოებული ნაწარმი	0.25%	17%
XXI ხელოვნების ნამუშევრები და ანტიკვარიატი	0.03%	-37%

წყარო: საქსტატი

ცხრილი №2. ვაჭრობა ევროკავშირში ქვეყნების მიხედვით

ქვეყნები	მთლიანი ვაჭრობის % 2015 წელს	ზრდა (%) 2014 წლიდან
ევროკავშირის ქვეყნები	29.3%	3.6%
ბულგარეთი	33.1%	28.2%
გერმანია	11.7%	9.6%
იტალია	11.5%	-13.6%
ნიდერლანდების სამეფო	6.7%	40.0%
ესპანეთი	6.5%	-40.4%
ლიტვა	5.2%	4.9%
პოლონეთი	4.4%	184.4%
რუმინეთი	4.2%	528.4%
გაერთიანებული სამეფო	3.3%	-13.3%
საფრანგეთი	3.2%	-21.7%
ბელგია	2.5%	-60.9%
ჩეხეთის რესპუბლიკა	2.1%	-5.7%
საბერძნეთი	1.6%	-23.1%
სლოვაკეთი	1.1%	-39.7%
ლატვია	1.0%	-20.6%
ავსტრია	0.4%	-51.3%
ესტონეთი	0.3%	-10.3%
ირლანდია	0.3%	1314.3%
ხორვატია	0.3%	955.2%
უნგრეთი	0.1%	-14.2%
დანია	0.1%	-58.2%
კვიპროსი	0.1%	-18.3%
ფინეთი	0.1%	-37.4%
მალტა	0.0%	494.6%
პორტუგალია	0.0%	-91.4%
სლოვენია	0.0%	-77.6%
შვედეთი	0.0%	-70.6%
ლუქსემბურგი	0.0%	-100.0%

წყარო: საქსტატი

ცხრილი №3. მთლიანი ვაჭრობის ნაკადი HS სექტორის მიხედვით, 2015 წელი

პროდუქციის კატეგორია	მთლიანი ვაჭრობის % 2014 წელს	მთლიანი ვაჭრობის % 2015 წელს	პროდუქციის კატეგორია	მთლიანი ვაჭრობის % 2014 წელს	მთლიანი ვაჭრობის % 2015 წელს
I ცოცხალი საქონელი, საქონლის პროდუქტები	2.15%	2.41%	XII ფეხსაცმელი, ქუდები და სხვა თავსაბურავი	0.15%	0.10%
დსთ-ის ქვეყნები	1.77%	1.37%	დსთ-ის ქვეყნები	0.07%	0.07%
ევროკავშირის ქვეყნები	0.00%	0.01%	ევროკავშირის ქვეყნები	0.05%	0.00%
სხვა ქვეყნები	0.37%	1.02%	სხვა ქვეყნები	0.02%	0.03%
II ბოსტნეული პროდუქტები	8.92%	10.59%	XIII ჯვის, შუშისა და კერამიკის ნაწარმი	0.47%	0.56%
დსთ-ის ქვეყნები	2.99%	2.39%	დსთ-ის ქვეყნები	0.44%	0.32%
ევროკავშირის ქვეყნები	5.30%	7.14%	ევროკავშირის ქვეყნები	0.02%	0.13%
სხვა ქვეყნები	0.62%	1.06%	სხვა ქვეყნები	0.01%	0.11%
III ცხოველური ან ბოსტნეულის ცხიმები და ზეთები	0.29%	0.36%	XIV მარგალიტი, ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი	1.74%	3.34%
დსთ-ის ქვეყნები	0.04%	0.04%	დსთ-ის ქვეყნები	0.01%	0.01%
ევროკავშირის ქვეყნები	0.02%	0.03%	ევროკავშირის ქვეყნები	0.35%	0.42%
სხვა ქვეყნები	0.23%	0.29%	სხვა ქვეყნები	1.38%	2.91%
IV საკვები, სასმელი, თამბაქო	17.51%	14.40%	XV შავი ლითონები და მათი ნაწარმი	17.09%	13.58%
დსთ-ის ქვეყნები	13.90%	10.11%	დსთ-ის ქვეყნები	5.05%	3.03%
ევროკავშირის ქვეყნები	2.25%	2.26%	ევროკავშირის ქვეყნები	1.18%	1.38%
სხვა ქვეყნები	1.35%	2.03%	სხვა ქვეყნები	10.62%	8.91%

V მინერალური პროდუქტები	12.05%	18.75%	XVI მანქანიები და ტექნიკა	2.50%	2.97%
დსთ-ის ქვეყნები	0.82%	0.38%	დსთ-ის ქვეყნები	1.36%	1.45%
ევროკავშირის ქვეყნები	7.51%	10.59%	ევროკავშირის ქვეყნები	0.39%	0.56%
სხვა ქვეყნები	2.68%	5.77%	სხვა ქვეყნები	0.75%	0.95%
VI ქიმიური და მომიჯნავე მრეწველობების პროდუქტები	10.18%	14.16%	XVII სატრანსპორტო აღჭურვილობა	20.57%	10.40%
დსთ-ის ქვეყნები	4.87%	8.33%	დსთ-ის ქვეყნები	17.34%	6.88%
ევროკავშირის ქვეყნები	1.70%	3.55%	ევროკავშირის ქვეყნები	1.31%	1.11%
სხვა ქვეყნები	3.62%	2.28%	სხვა ქვეყნები	1.92%	2.41%
VII პლასტმასი, რეზინი და მათი ნაწარმი	1.24%	1.50%	XVIII ოპტიკური და ფოტოგრაფიული ხელსაწყოები, სხვ.	0.39%	0.96%
დსთ-ის ქვეყნები	0.66%	0.83%	დსთ-ის ქვეყნები	0.13%	0.35%
ევროკავშირის ქვეყნები	0.43%	0.52%	ევროკავშირის ქვეყნები	0.12%	0.29%
სხვა ქვეყნები	0.15%	0.15%	სხვა ქვეყნები	0.14%	0.31%
VIII დაუმუშავებელი ტყავი, ტყავი და მსგავსი	0.26%	0.26%	XIX იარაღი და საბრძოლო ტექნიკა	0.00%	0.00%
დსთ-ის ქვეყნები	0.05%	0.05%	დსთ-ის ქვეყნები	0.00%	0.00%
ევროკავშირის ქვეყნები	0.16%	0.14%	ევროკავშირის ქვეყნები	0.00%	0.00%
სხვა ქვეყნები	0.05%	0.06%	სხვა ქვეყნები	0.00%	0.00%
IX ხე-ტყე, ნახშირი, კორპი და მათი ნაწარმი	0.77%	0.83%	XX სხვადასხვა წარმოებული ნაწარმი	0.38%	0.41%
დსთ-ის ქვეყნები	0.38%	0.28%	დსთ-ის ქვეყნები	0.30%	0.27%
ევროკავშირის ქვეყნები	0.16%	0.19%	ევროკავშირის ქვეყნები	0.05%	0.08%
სხვა ქვეყნები	0.23%	0.36%	სხვა ქვეყნები	0.03%	0.06%

X ხის შერქანი, ქალაქი და მუყაო	0.18%	0.26%	XXI სელოვნების ნამუშევრები და ანტიკვარიატი	0.01%	0.01%
დსთ-ის ქვეყნები	0.10%	0.20%	დსთ-ის ქვეყნები	0.00%	0.00%
ევროკავშირის ქვეყნები	0.03%	0.01%	ევროკავშირის ქვეყნები	0.01%	0.00%
სხვა ქვეყნები	0.05%	0.06%	სხვა ქვეყნები	0.00%	0.01%
XI ქსოვილები და ქსოვლის ნაწარმი	3.18%	4.15%			
დსთ-ის ქვეყნები	0.48%	0.48%			
ევროკავშირის ქვეყნები	0.56%	0.68%			
სხვა ქვეყნები	2.15%	2.99%			

წყარო: საქსტატი

ცხრილი №4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყნის წარმოშობის მიხედვით

ქვეყნები	მთლიანი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების % 2015 წელს	ზრდის % 2014 წლიდან
სულ	100%	-23%
აზერბაიჯანი	40%	59%
გაერთიანებული სამეფო	15%	84%
ნიდერლანდების სამეფო	8%	-70%
ლუქსემბურგი	6%	-21%
თურქეთი	6%	22%
ჩინეთი	4%	-74%
რუსეთი	4%	-41%
აშშ	3%	-81%
კორეა	2%	4465%
საფრანგეთი	2%	20%
დანია	2%	66%

წყარო: საქსტატი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“
ჭოგველიძის ქ.10, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: +995 32 2 25 04 63

ფაქსი: +995 32 2 29 10 52

ელ.ფოსტა: CONTACT@OSGF.GE; OSGF@OSGF.GE

www.osgf.ge